



წელიწადი მესამე

წელიწადი მესამე

სამეურნეო ჟურნალი

გოსავალი



გიორგობისთვე 14

№ 22

შინაარსი:

გ. ნახუცრიშვილი.	საქონლის საკვებადი ჭარხალი	3
პროფ. გენრი.	კვება და საკვებადები (თარგმანი).....	5
დ. ლ—ძე.	საქართველოს და სერეთოდ ამიერ კავკასიის ვაჭრობა უცხოეთთან.....	8
გ. ახოშვილი.	საეურადდებო ცნობები	13
„მოსავალი“-ს წარმომადგენელი.	ლონდონის ბაზარი	15



სამეურნეო ჟურნალი მოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წარსულ წელს ჟურნალში დაიბეჭდა წერილები შემდეგი შიკებისა: — ანოშვილი ვ., ანაზღეული, ახალაია ი., ბერეკ შვილი კ., გულბათიშვილი ვ., გვარამაძე კ., გორთ:მაშვილი ვ., ელილაშვილი ზ., ვაჭრიშვილი ვ., თაქთაქიშვილი გ., თოიძე გ., იოსელიანი ე., კახელიძე ს., კარბელაშვილი ელ., კარალელი ვ., შანაბელი ა., მდივანი დ., შჭედლიშვილი ვ., ნახუცრიშვილი გ., ონიკოვი კ., როლოვი ა., რცხილაძე ვ., რცხილაძე ს.გ. ვ., რცხილაძე ს.გ. გ., ფურცელაძე ი., ფალაგანიშვილი დ., ქუთათელაძე ი., ქათამაძე მ., ქარცივაძე ვ., ყიფიანი პ., ჩივაძე გ., ცხადაძე გ., სუნდაძე ს., შავლიყვი პ., ჯანაშვილი მ., ჯიქია ლ., კახელი მევენახე, სემიონოვი ექიმი.

რედაქცია მოელის თანამშრომლობას სხვებიდანაც.

თანამშრომელთა საპურადგებოდ.

ჟურნალის შემოსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, დანარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებათ თანამშრომლებს პროპორციულად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქციამ შეასწოროს და შეამოკლოს. წერილები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქცია მზათ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შუამავლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედვე ყველა სამეურნეო ნაწარმოების შექმნა-გასაღებაში.

განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონი (ვენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ღირს **ორი შაური**.

წლიური აბონემენტებისათვის განცხადების ფასი რედაქციასთან **შეთანხმებით**. განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

რედაქცია ჟურნალის ხელისმომწეროებს წლის დამლევს **გაუგზავნის უფასოდ დამატება-ბროშურას** მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

ჟურნალი წელიწადში ღირს 3 მანეთი.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Бяратинская, 5. «МОСАВАЛИ».

რედაქტორ-გამომცემელი მ. ი. რცხილაძე

საქონლის საკვებავი ჭარხალი

გამოკვლეულია რომ 4—5 ფუთი ჭარხალი სინოცივრით 1 ფუთ თივას უდრის. ამასთან თუ იმ გარემოებასაც მივიღებთ მხედველობაში რომ 1 დესეტინა მიწა იძლევა 2000—2500 ფუთ ჭარხალის მოსავალს, მაშინ ყველასათვის ცხადი უნდა იყოს რომ ამ ქამად ჭარხალი ჩვენ მეურნეობასაც დიდ სარგებლობას მოუტანს. ადვილი შესაძლებელია ხსენებულ მცენარის სარგებლობაში ზოგიერთა მეურნეს ეჭვიც დაეხადოს, მაგრამ ამ შემთხვევაში უმჯობესი იქნება ჯერ ცოტაზედ სცადოს, მაგალითად 1000 ძირზედ, და თუ ამ ცოტაშიაც სარგებლობას დაინახავს მაშინ რა თქმა უნდა თავისათვის კარგს მოინდომებს და მეორე წელიწადს უფრო გულიანად მოეკიდება საქმეს. ასე არც მწვადი დაეწვის და არც შამფური.

ყველა არსებული ჭარხლის ჯიშები ერთიერთმანეთისაგან უმთავრესად ფერით და ძირის მოყვანილობით განიჩევიან, მაგალითად არის თეთრი, გრძელი, გრძელი ყვითელი, გრძელი წითელი, ხარის რქა (ცოტა მოხრილია), მამუტი. ეს ჯიშში წითელი ფერისა და ძნელი შესანახი, ამისათვის საქონელს შემოდგომიდანვე აქმევენ. გარდა ამათი არის კიდევ წითელი და ყვითელი ფერის „გულა“ ჭარხალი, ეკენდორფული მრგვალი, ობენდორფული წითელი, ყვითელი, პრტყელი ორიგინალი, ნორმა და სხვ.

ზოგი მეურნეების გამოცდით საქონლისათვის საუკეთესო ჯიშათ ობენ-

დორფული ჭარხალი უნდა ჩაითვალოს. ამ ჯიშს ორი კარგი თვისება აქვს: ჯერ ერთი რომ დიდ მოსავალს იძლევა და მეორე ობენდორფული ჭარხლის ძირი თითქმის მიწის ზემოთ იზრდება და ამისათვის ამოსაღებათაც ადვილია.

ვიდრე ჭარხლის თესვა-მოვლაზედ დავიწყებდეთ ლაპარაკს, ურიგო არ იქნება ჯერ მის თესვის რიგს გავცინოთ.

ჭარხალი მხოლოდ მაშინ იძლევა კარგ მოსავალს, როდესაც ის ერთსა და იმავე მიწაზედ ზედიზედ არ ითესება, არამედ დროგამოშვებით. ამისათვის ნაჭარხლარი ადგილი 4—5 წლის განმავლობაში სხვა მცენარეებს უნდა დაუთმოთ. მაგალითად ორ-სამ წელიწადს პურს დასთესავთ, შემდეგ იონჯას და სხვა ამგვარ პარკიან მცენარეებს, რომლებიც ერთ საუკეთესოთაგან საკვებას—აზოტს უბრუნებენ მიწას.

შემდეგ ისევ ჭარხლის თესვას განიმეორებთ.

თესვის ასეთი მორიგეობა საჭიროა იმისთვის, რომ ჭარხალი მეტად ბევრ სინოცივრეს ართმევს მიწას და ზედიზედ დათესვა ორნაირ ზარალს მოგცემთ: ჯერ ერთი მიწა დაიღლებოდა და მეორე თვით ჭარხალიც ურიგო თვისებისა იქნება.

უკეთუ ადგილი ნაკლებათა გაქვთ, მაშინ მეტი გზა არ არის, ამ წესს უნდა აუხვიოთ, მხოლოდ ამგვარ შემთხვევაში მიწის ყოველწლობით გაპატიება კი დაგჭირდებათ.



საქონლის ქარხლისათვის უმჯობესია ახალი პატივი იხმაროთ. ძველ პატივს მხოლოდ შაქრის ქარხლისათვის ხმარობენ.

ქარხალს საზოგადოდ მეტად პატარა ფესვები აქვს და ამისთვის თხოულობს ნოყიერ და ღრმად გაფხვიერებულ მიწას. მიწა შემოდგომიდანვე უნდა მოხნათ და თუ პატივი ესაჭიროება მოხვნის წინ პატივსაც მოაყრიეთ. ადრე გაზაფხულზედ მიწას ხელახლა აჩჩავთ და ზედ რკინის კბილებიან ფარცხს მოატარებთ. ამნაირი ფარცხის ხმარება ორნაირ სარგებლობას მოგიტანთ: ნახნავი გაფხვირდება კიდევ და შამბი ბალახის ფესვებისაგანაც გასუფთავდება. მიწის მოსასწორებლად შეიძლება ქართული ფარცხი იხმაროთ.

შემდეგ ამისა შეუდგებით თესლის გადარჩევას. დასათესად იხმარება მსხვილი და მძიმე თესლი. წვრილი მსუბუქი თესლი საიმედო არ არის. ერთ დესეტინა მიწას დაახლოებით $1\frac{1}{2}$ ფუთი თესლი სჭირდება. დათესვამდის უკეთესი იქნება თესლი დააღბოთ. ამ შემთხვევაში ასე უნდა მოიქცეთ: ფიცრის იატაკზე ან ქილობზედ გაშლით თესლს 4 ვერშოკის სისქეზედ და ზედ ასხურებთ წყალს, ამავე დროს კარგად აურევთ და როდესაც თესლი დასველდება, ერთად შეაქუჩებთ და ზევიდან ისევე ქილობს დაათარებთ.

ასე დამზადებული თესლი მესამე დღეს მზად იქნება დასათესად.

დამბალი თესლის დიდი ხნობითაც გაშვება არ ვარგა, რადგან აღვილი შესაძლებელია თესლი ჩახურდეს ან ძალიან გაღვივდეს და მაშინ აღარ ივარგებს დასათესად.

არის მეორე უფრო საიმედო საშუალება: დათესვის დროს აიღეთ საქონ-

ლის ახალი პატივი და განხეიბთ წყალში, შემდეგ ამ სითხეში შემოვლებული თესლი იხმარეთ დასათესად. სველი თესლი მიწას კარგად იკრავს და თანაბრივ ამოდის. ქარხალი უსათუოდ წკრეხედ უნდა დაითესოს. შეგიძლიანთ პირველიდანვე სქლაც დასათესოთ, მხოლოდ წკრესა და წკრის შუა 10—12 ვერშოკ მანძილს გაუშვებთ. სქლად დათესილს ქარხალს შემდეგში რასაკვირველია გათხვლება დასჭირდება. ამ მუშაობას უმჯობესი იქნება რომ სველი ნაავდრი მიწა შეუჩიოთ. გათხვლების დროს მცენარეები 6—8 ან 8—12 ვერშოკზე დააშორეთ.

ქარხლის მოყვანა გადარგვითაც შეიძლება, ესე იგი მითელით. ამისათვის ერთი დესეტინა მიწისათვის თქვენ დაგჭირდებათ მხოლოდ 15—20 გირვანქა თესლი.

თესლი უნდა დაითესოს წინაღვე დამზადებულ კვლებში და როდესაც მცენარე 4—5 ფოთოლს გაიკეთებს, ის უკვე მზად იქნება გადასარგველად. გადარგვის დროს მიწა უსათუოდ სველი უნდა იყოს. უკეთუ მიწა მშრალია მაშინ მორწყვა დასჭირდება. დარგვის დროს უნდა ეცადნეთ რომ მცენარის ნორჩი ფესვი მიწაში სწორედ მოათავსოთ. ვინიცობაა ფესვი გრძელი აქვს, შეიძლება ცოტათი წააჭრათ.

კარგი მოსავალიც და თვით ქარხლის თვისებაც სულ მთლად თქვენ მოვლაზედ არის დამოკიდებული. კარგი მოვლაც იმაში გამოიხატება რომ ქარხლის მინდორს ბალახი არ მოერიოს, რისთვისაც 2—3 ხელი გათხნა დაგჭირდებათ. როდესაც კი ფოთოლი კარგად მოიზრდება ამის შემდეგ აღარც თოხნაა საჭირო და არც მორწყვა. არ დაგავიწყდეთ რომ საქონლის ქარხალს



როგორც შაქრის ჭარხალს ძირებზედ მიწის შემოყრა სრულებით არ ესაჭიროება.

ჭარხალი რაც მეტი ხანი დაჩრება მიწაში, იმდენი უკეთესია, მხოლოდ ამოღება ყივნებს უნდა დაასწროთ. ჭარხალი ინახება ისე როგორც კართოფილი (იხილეთ „მოსავალი“ს № 14). რაც შეეხება ჭარხლის ხმარებას არც ეს არის საძნელო. უნდა იცოდეთ რომ საქონელი გათუთქულ ჭარხალს უფრო ეტანება თუმცა მეწველ საქონელს უმჯობესია უმი ჭარხალი აჭამოთ, რადგან ამ შემთხვევაში ისინი უფრო მეტ რძეს იძლევიან. ხმარების წინ ჭარხალს ამოიღებთ სარდაფიდან, დასჭრით და ცოტათი დამღულრულ ქატოსთან ან თივასთან ერთად არეულს დაუყრით საქონელს. ჭარხლის დასაჭრელათ რასაკვირველია კარგი იქნება დასაჭრელი მანქანა იქონიოთ, მაგრამ ვინც მანქანის ყიდვას ვერ მოახერხებს, მაშინ შინაური იარაღითაც კარგად შეიძლება იმისი დაჭრა. ჭარხლით შენახულ საქონელს ზამთრის სადგომი უსათუოდ თბილი უნდა ჰქონდეს.

სხვათა შორის აი რასა სწერს ჩვენს ხალხზე ერთი რუსეთის მემამულე.

„რამოდენიმე წელიწადია რაც მე ობენდორფულ ჭარხალს ვეთსავ. უფრო დაბალ ადგილებს ურჩევ ხოლმე. ვრგავ 12 ვერშოკის მოშორებით, წყრესა და წკრის შუა 12 ვერშ. მანძილს ვტოვებ, ორ-სამ ხელს ვთოხნი და ამოღების დროს პირდაპირ ხელით ვიღებ.

ერთი დესეტინა მიწა წელიწადში მაძლევს 2500—3000 ფუთამდის; ყველა ხარჯი რომ ვიანგარიშო ფუთი მიჯდება 2 კაპეიკი. რქიანი საქონელი გულიანადა სჭამს ჭარხალს. საცდელათ მოხარშული ჭარხალიც ვაჭამე, მაგრამ ძროხებმა წველას უკლეს და ამისათვის ისევე უმი ჭარხალი ვარჩიე. მათთვის ცხენხასაც მთელ ზამთარს ჭარხალს ვაჭმევდი და ვამუშავებდი კიდევაც მთელ ზამთარს; არ შემინიშნავს რომ ჭარხალს მუცელში გაეფაღარათებინოს ცხენი ან მუხლი მოეკვეთოს. ცხენები მოხარშულს ჭარხალს უფრო გულიანათ სჭამენ ვიდრე უმს“.

გ. ნახუცრიშვილი

კვება და საკვებაეები

მცენარის ზრდა და მცენარეული საჭმელების მომზადება ცხოველებისათვის.

გარდა ჰაერისა, წყლისა და მარილებისა ყველა სხვა საკვებაეებს, რომელიც კი სჭირდებათ ცხოველებსა, მცენარეები ამზადებენ.

80-ზე მეტი ელემენტებიდან, რომელნიც შეადგენენ ყველა გვარ ნივთიერებას ბუნებაში, მცენარეების სასაზრდოებლად მარტო ცამეტნი არიან საჭირონი. სახელდობრ: ნახშირბადი,

წყალბადი, მჟავბადი, აზოტი, გოგირდი, ფოსფორი, კალი, კალცი, მაგნი, რკონა, ნატრი, კაჟი და ქლორი. ზოგ მცენარეებში პოულობენ იოდსაც და მარგანსაც, მაგრამ როგორადაც საკვებაენი ესენი საჭირონი არ არიან მცენარეებისათვის, თუმცა შეიძლება რამდენათმე რგებდნენ მათ.

შემოხსენებული ელემენტების, გარდა ზოგიერთებისა, პირდაპირ გამოყენება საკვებათ მცენარეებს არ შეუძლიანთ. სარგებლობენ მცენარეები ამ



საკვებავებით მხოლოდ მაშინ, როცა ეს ელემენტები ქიმიურად არიან შეერთებული.

უმთავრესი შემადგენელი ნაწილი მცენარისა არის წყალი. მცენარის მწვანე ნაწილში 75—90% წყალია ხოლმე, გარდა იმ წყლისა, რომელიც ქიმიურად არის შეერთებული.

ნიადაგიდან შესუტული წყალი შედის მცენარის უჯრებში ანუ უჯრედებში და ლერო-ტოტების შემწეობით გადი-გამოდის ყველა კენწეროვებსა და ფოთლებში, საიდანაც აორთქლებით სტოვებს ისევ მცენარეს და უკანვე უბრუნდება ჰაერს. **ლოოზ** და **გილბერტ**-ის გამოანგარიშებით პურის მცენარე და სამყურა ბალახი ინგლისში ორას-ორას გირვანქა წყალს ანთავისუფლებენ ფოთლებიდან აორთქლებით ყოველ თითოეულ გირვანქა ხმელ ნივთიერებაზე, რომელსაც ეს მცენარეები იკეთებენ.

წყლის შემდეგ უმეტესი ადგილი მცენარეში **ნახშირმჟავეს** უჭირავს.

10000 ნაწილ ჰაერში 4 ნაწილი წონით ნახშირმჟავაა. ყოველ ერთ ქცევა მიწის ზედაპირის ასწორივ მაღლამდე 1750 ფუთამდე ნახშირმჟავე გამოვარო ავწონათ.

ნახშირმჟავე მუდამ უღევადა არის ჰაერში, რადგან რიგისა რო იხარჯება, რიგისა უკანვე უბრუნდება ჰაერს მცენარეთა და ცხოველთა სხეულების გახრწნითა და დაშლით.

მცენარის ფოთლის ქვეშითა ზედაპირს რომ დავაკვირდეთ უთვალავი ფოსოები გტყობა. ეს ფოსოები შესავალი გზაა ფოთლის უჯრედში. ჰაერი შედის ამ გზით უჯრედში და შეაქვს თან ნახშირმჟავე, რომელიც აქედან გადადის მცენარის მთელ სხეულში.

აზოტი არის ბლომად მცენარის ცხალ ნაწილებში, რომელიც ისევ ზრდაში არიან. მიუხედავად იმისა რომ ჰაერის 3/4 ნაწილი აზოტისაგან შესდგება აზოტის შეთვისება პირდაპირ ჰაერიდან არცერთ მცენარეს არ შეუძლიან ცერცვიან მცენარეების გარდა. მცენარენი იღებენ აზოტს ნიადაგიდან როგორადაც ნიტრატებს ან ამონიუმის მარილებს.

მინერალური ნივთიერებანი, რომელნიც მცენარის ფესვებით მიიღებიან ნიადაგიდან, არიან:

გოგირდმჟავიანი მარილები	კალისა
ფოსფორმჟავიანი მარილები.	კალცისა
აზოტმჟავიანი მარილები . .	მაგნისა
ქლორიანი მარილები . . .	რკინისა
კაჟმჟავიანი მარილები. . .	ნატრისა
ნახშირმჟავიანი მარილებ. .	ამონიუმისა

გოგირდი მცენარეში როგორადაც პროტეინის ანუ ცილის შემადგენელი ნივთიერება შედის ცოტაოდენი.


ფოსფორი—ესეც ცოტაოდენია მცენარის ფოთლების ცოცხალ უჯრედებში, ხოლო უფრო ბლომად არის მცენარის თესლის პროტეინში.

კალი —როგორადაც პროტოპლაზმოს ერთი შემადგენელთაგანი ნივთიერება შედის ალბად ამ პროტოპლაზმოში.

რკინსაც ალბად რამე განსაკუთრებული დანიშნულება აქვს მცენარეებში, რადგან მას ყველა მცენარის სხეულში პოულობენ.

კალცი და **მაგნი** დიდად საჭირონი არიან მცენარეებისათვის, ხოლო როგორა სარგებლობენ მცენარეები ამ ნივთიერებებით ჯერ არ არის გამოკვეული საკმარისად.

კაჟი და **ნატრი** თუმცა ყოველთვის იპოვებიან მცენარეებში, მაგრამ ზო-



გიერთ სანდო პირების აზრით ეს ნივთიერებანი საჭირონი არ არიან მცენარეებისათვის.

მჟავბაღს ითვისებს მცენარე თესლით, როცა თესლი ისახება და იზრდება. ცოტაოდენ მჟავბაღს იღებს ჰაერიდან აგრედვე მცენარის ნაყოფიც.


აზოტის მიღებას ჰაერიდან მარტო ცერცვაგვარი მცენარეები ახერხებენ, რომელთაც ფესვებზე ერთგვარი ჯირკვლები ამოსდით. ესეთ მცენარეებს ეკუთვნიან მაგალითად ლობიო, მუხუნო, ცერცვი, სამყურა ბალახი, იონჯა და სხვა. მარტო ასეთ მცენარეებს შეუძლიანთ მიიღონ ამ ერთ შემთხვევაში ეს ერთადერთი ნივთიერება—აზოტი თავისუფლად მყოფი ბუნებაში. დანარჩენ სასაზრდოებელ ნივთიერებებს კი მცენარეები იღებენ ქიმიურად შეერთებულებს.

მცენარის აგებულობა. ცოცხალი ნივთიერებანი განსხვავდებიან არა ცოცხლებისაგან იმით რომ იკვებებიან, იზრდებიან და მრავლდებიან. ესეთი სოცოცხლე მცენარეში უფრო მის გამჭვირვალე, წებომავარ პროტოპლაზმაში ტრიალებს მეტად, რომელიც მცენარის მწვანე ნაწილების უჯრედებშია მოთავსებული, ნამეტნავად ფოთლების უჯრედებში. სწორედ აი ამ ნივთიერების სხვადასხვა თვისებებით არის გამოწვეული ის ინდივიდუალური სხვადასხვაობა, რომელიც პირადად თითოეულ მცენარესა აქვს მინიჭებული. მცენარის შიგნით ტრიალებს წვენი, რომელიც მიდი-მოდის ყველა მის ორგანოებთან. ფოთლებითა და ფესვებით მიღებული ნივთიერებანი მიაქვს ამ წვენს ჯერ იქ, სადაც სხეულის ასაშენებელ მასალად უნდა შემუშავდნენ და შემდეგ გადააქვს

ეს მასალა იქ, სადა უნდა მოხმარდეს სხეულს. ამ მოძრავე წვენით მწვანედ შეღებილს ფოთლებში პროტოპლაზმოს ჰაერიდან მიღებული ნახშირმჟავე და ნიადაგიდან შესრუთული ფესვების საწოვრებით აზოტმჟავიანი და ყოველი სხვა მარილები და წყალი.

ნახშირმჟავე, მარილები და წყალი მოვროვილნი პროტოპლაზმოს ნივთიერებაში ჯერ იშლებიან და მერე ისევ გროვდებიან ხელახლად, ხოლო იმ რიგად, რომ მცენარისათვის ყველა საჭირო მასალა შეზავდეს. ამ შეზავების პირველი შედეგი, როგორც ვიცით დღეს, არის ასეთი თუ ისეთი შაქარი ანუ სახამებელი, რომლის შედგენის შემდეგ მონარჩენი მჟავბადი უკანვე უბრუნდება ჰაერს განთავისუფლებული. შაქარში და სახამებელში დიდძალი ენერგია არის მოვროვილი, ნახშირმჟავეში და წყალში კი ძლიერ ცოტა. ამიტომ როდესაც შაქარი და სახამებელი კეთდება ნახშირმჟავისა და წყლისაგან, საჭირო ენერგია გარეშეთ საიდანმე უნდა მიემატოს ამ მასალას. ეს გარეშე წყარო ენერგიის მისაღები არის მზის სხივი. ცხოველყოფელი პროტოპლაზმა ჰკრეფს ამ სხივიდან ენერგიას, რომელიც მერე, როცა ვწვავთ შაქარსა და სახამებელს, ისევ განთავისუფლდება ხოლმე როგორადაც წარმომდგარი ამ დროს სითბო და სინათლე.

ნახშირწყალნი. შაქარი და სახამებელი უმთავრესი დასაწყისი მასალაა მცენარის სხეულის ასაშენებლად. იმ ნივთიერებებთან ერთად, რომელნიც წარმოსდგებიან აქედან პირველშივე (ცელიულეზა, პენტოზანი), იგინი შეადგენენ მცენარის ხმელ ნივთიერების უმეტეს ნაწილს. ყველა ამ ნივთიერე-



ბებს უწოდებენ სახელად ნახშირ-წყლებს, რადგან შესდგებიან ნახშირისაგან და იმ ზომა მჟავადისა და წყალბადისაგან, რა ზომითაც ეს უკანასკნელი შეადგენენ წყალს, ესე იგი ორი ნაწილი წყალბადი ერთ ნაწილ მჟავაბაზე (H_2O).

ყველა გვარი შაქრები—გლიუკოზა ანუ ლევიულეზა ($C_6H_{12}O_6$), ქარხლის შაქარი ანუ მალტოზა ($C_{12}H_{22}O_{11}$) და სხვ. დნებიან წყალში და მცენარის წვენი წყალობით ადვილად მოძრაობენ მცენარის მთელ სხეულში. სახამებელი კი—ეს უმთავრესი შუამავალი მცენარეთა სამეფოში—არა დნება მცენარის წვენში და ამიტომ არც მოძრაობა შეუძლიან მცენარის სხეულში. სახამებელი მოგროვილია ბლომად მცენარის თესლში, სადაც იგი მცენარის ნასკვს აქვს გარშემო შემორტყმული, როგორც მაგალითად ჰურის ხორბალში, სიმინდის მარცვალში და სხვა. სახამებელი გროვდება აგრედვე ძირნაყოფიან მცენარეების მიწაში მდებარე ნაყოფში, როგორც მაგალითად კართოფლია და სხვ.

როდესაც მცენარის რომელსამე ორგანოს სჭირდება სახამებელი, ეს უკანასკნელი ერთგვარ ფერმენტის ეგრედწოდებულ **დიასტაზის** ზედგავლენით

უერთდება წყალს და გარდაიქმნება ადვილ დასადნობ შაქრად—მალტოზად, რომელიც დნება შემდეგ მცენარის წვენში და მიაქვს ამ უკანასკნელს საცა საჭიროა რომ იქ ხელახლად იქცეს სახამებლად—ჰენტოზანად ($C_6H_{10}O_5$) ანუ ცელიულეზად ($C_6H_{10}O_5$).

ყოველი მცენარე პირველად შესდგება წვრილი უჯრედებისაგან, რომელნიც იკრიფებიან ერთად სხვადასხვა რიგზე სხვადასხვა გვარი უჯრედების შესადგენად. ცელიულეზა როგორადაც მუდმივი მასალა მცენარის სხეულის შესადგენი არა დნება წყალში და წააგავს სახამებელსაც და შაქარსაც, ვინაიდან მათგან არის წარმომდგარი.

მცენარის გახეებულ ნაწილებში უჯრედები არიან სქელკედლებიანი. ზოგან ამ კედლებს თავიანთი სისქით მთლად გამოუმსიათ უჯრედის გული, ზოგან კედლები თხელები არიან, მაგალითად ფოთლის უჯრედებში და ზოგან კი, როგორც მაგალითად თესლში და წყლიან ნაყოფში, ძლიერ თხელებიც არიან და ჩვილებიც.

მინერალური ნივთიერებანი უმეტესად ხის ცილაში არიან მოთავსებულნი, რაც აშკარადა სჩანს როცა ხე იწვის და რჩება ნაცარი ანუ მინერალური ნივთიერება.

საქართველოს და საერთოდ ამიერ-კავკასიის ვაჭრობა უცხოეთთან.

რა საქონელი გადის საზღვარგარედ:

ამ მოკლე მიმოხილვისთვის ვსარგებლობთ შემდეგი მასლით: „Обзоръ внѣшней торговли Россіи по европейской и азіатской границамъ за 1906 и 1907 г.“ Изд. Деп. таможенныхъ сборовъ. С.-Петербургъ 1908 г.

სამწუხაროდ ამჟამად ხელთ არ გვაქს უკანასკნელი 4 წლის ანგარიშები რომ

მკითხველმა სრული წარმოდგენა იქონიოს საგარეო ვაჭრობის მსვლელობაზე.

ზემო აღნიშნული ანგარიშებიდან მოვიყვანთ იმ ციფრებს, რომელნიც საქართველოს და საერთოდ ამიერ-კავკასიის შეხებიან, თუმცა საქართველოს ტერიტორიაზე დღეს არ არის ვაჭრობის მთლიანობა. ავიღოთ მაგალითად



თბილისი, საცა მთელი ამიერ-კავკასიის ვაჭრობის მთავარი ძარღვებია თავმოყრილი და რომელსაც სპარსეთთან აქვს დამოკიდებულება. ჩვენი მიზანია ვისარგებლოთ მასალებით რამდენიც შესაძლებელია და ამით მცირეოდენად ხელი

შეუწყოთ ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლას.


ქვემოთ მოგვყავს ფოთის და ბათუმის ნავთსადგურებიდან გატანილი საზღვარგარედ საქონლის რაოდენობა 1906 წ. განმავლობაში:

საქონელი	ფოთიდან	ბათომიდან
სიმილი	1,170,527 ფუტი	562,281 ფუტი
ლობიო	—	31,005 ”
პურის ფქვილი	1,973 ”	38,169 ”
კართოფილი	—	2,680 ”
მარილი	—	5,343 ”
ქიშმიში	9,441 ”	—
ნიგოზი და თხილი	—	15,306 ”
თამბაქო (ფოთლები)	159 ”	558 ”
ტყის მასალა	—	408,738 ”
ნიგვზის ხე	79,557 ”	46,264 ”
ბზის ხე	25,209 ”	56,415 ”
ფიცრები	—	16,000 ”
სხვადასხვა ხე-ტყის მასალა	3,306 ”	6,428 ”
მზე-უჭერიტა	—	73,881 ”
თესლეულობა ბალახისა	—	64,130 ”
სხვადასხვა თესლეულობა	—	64,304 ”
ზეთი	—	691,288 ”
ძირ-ტკბილა	—	702,438 ”
ცხვრის-ტყავი	200 ”	152,468 ”
ხარის ტყავი	2,480 ”	6,040 ”
სანაკელო მასალა	—	1,970 ”
აბრეშუმის პარკი	—	118,849 ”
მატყლი (გაურეცხავი)	—	366,132 ”
მატყლი (გარეცხილი)	—	13,542 ”
მერინოსის მატყლი	—	20,244 ”
შავი ქვა	28,378,584 ”	1,123,150 ”
რკინეულობა	—	18,565 ”
ნავთი	—	19,685,975 ”
ნაფტალინი	—	6,985,615 ”
ფოსფორი	—	9,204 ”
ხალიჩები	—	78,399 ”
კასრები	—	1,946 ”

ზემოთ მოყვანილი ციფრებიდან სჩანს, რომ ყველაზე მეტი საქონელი ბათომიდან გადის. ფოთი კი უმთავრესი ნავთსადგურია სიმილის და შავიქვის გასაზიდათ. აქედან ჩვენ მეურნეს შეუძ-

ლიან გაითვალისწინოს თუ რა საქონელს აქვს გასაავალი საზღვარ-გარედ.

საგულისხმოა კიდევ ის ფრიალ არა ნორმალური მოვლენა, რომ 1906 წ., როდესაც დიდი მოუსავლობა იყო და



ხალხი დარბეული და გატყავებული იყო, ფოთიდან და ბათომიდან თითქმის 2 მილიონი ფუთი სიმინდი გაიტანეს საზღვარ-გარედ. ეს პირდაპირ ჩვენი გლეხის პირიდან გამოგლეჯილი ლუკმაა.

რომ მკითხველი შეცდომაში არ შევიდეს საქიროა მოვიხსენიოთ, რომ ყველა ზემოდ ჩამოთვლილი საქონელი მარტო საქართველოდან არ არის გატანილი, არამედ დანარჩენი ამიერ-კავკასიაც შედის შიგ. უმეტესი ნაწილი კი რასაკვირველია საქართველოდან არის გატანილი. სამწუხაროდ ჩვენი ქვეყანა მოკლებულია ეროვნულ სტატისტიკას და მხოლოდ ამნაირად უნდა ვივარაუდოთ. შედარებისთვის მოვიყვანთ შემდეგი წლების ციფრებს, თუ რამდენი მანეთის საქონელი იქმნა სულ გატანილი ორივე ნავთსადგურიდან.

წელ.	ბათომიდან.	ფოთიდან.
1906	29,662,000 მან.	33,518,000 მან.
1905	4,668,702 „	24,051,011 „
1904	6,048,403 „	47,745,648 „
1903	5,988,302 „	42,092,963 „
1902	5,594,140 „	40,678,997 „
1901	5,061,475 „	46,776,483 „
1900	6,454,504 „	37,143,714 „
1899	5,841,536 „	26,786,664 „
1898	3,928,070 „	23,697,435 „
1897	3,275,893 „	22,121,341 „
1896	2,558,680 „	17,426,765 „

მკითხველი ადვილად დაინახავს, რომ საზღვარ-გარეთ გატანას ყოველ წლივ უმატნია და 10 წლის შემდეგ 14-ჯერ მეტი გამხდარა.

აქაც უნდა ვივულისხმოთ, რომ გატანილი საქონელი მარტო საქართველოდან არ გასულა, არამედ ამიერ-კავკასიასაც აქვს თავისი წვლილი შეტანილი. მიუხედავად ამისა მთავარი მნიშვნელობა ისევ საქართველოს ეკუთვნის როგორც გეოგრაფიულად ისე

წარმოებითაც. მთელი ექსპორტი როგორც ხედავთ, საქართველოს მეურნეობაზე დამყარებული და თუ ამიერ-კავკასიის სხვა კუთხეებსაც უდევთ წილი ეს აუცილებელია, რადგან ვაჭრობას ინტერნაციონალური ხასიათი აქვს ყველა ქვეყნებში.

რა საქონელი შემოვიდა საზღვარ გარეთიდან.

ქვემოლ მოყვანილი ციფრები ეხება 1906 წელს.

ბათომის საბაჟოზე (დამოყნა) შემოტანილი.

სანოვაგე და ხილი	ფ.
ნედლი მწვანილი ზ ხილი	40,320
ფორთოხალი	45,994
ლიმონი	40,419
ჩინეთის ხმელი ხილი	1,523
ფისტაშკები	2,663
პილპილი	5,712
გვარჯილა	1,638
ყავა მოუხალავი	9,416
ყავა მოხალავი	305
ჩაი (ეს ჩაი ჩაქვის პლანტაციებზე მოღის და ბათომის საბაჟოდან უმეტეს ნაწილად თურქესტანში იგზავნება)	248,318

სასმელები და გასტრონომიული სანოვაგე.

ლიქორი	1,919
ღვინოები	1,927
სამკურნალო წყლები	2,284
ძებვები	1,067
ერბო	1,385
თევზეულობა ნედლი	2,061
სარღონიის თევზი (სარდინკა)	5,575
ფრინველების კვერცხი	3,912

სხვადასხვა ნედლი საქონელი.

აბრეშუმის თესლი	1,396
ფუტკრის სანთელი	2,600



ცერეზინი	2,405	„
ზარაფინი	2,434	„
ტყავეულობა	2,718	„

ტყის მასალა, სხვადასხვა ხის ნაწარმოები და კალათები

ხეტყეულობა	14,730	„
ჯოხები	2,044	„
ავეჯეულობა	1,213	„
ხის ნერვი	8,619	„
თესლეულობა	2,045	„
სამკურნალო მცენარეები	1,820	„
კალათები	769	„
ქილობი	782	„

ქვის და რკინის მასალა:

თეთრი აგური	28,886	ფ.
ცემენტი	509	„
კირი	3,498	„
ქუჩ. მოსაკირწლი ქვა	54,900	„
სალესი ქვა	10,161	„
მარმარილო	4,462	„
მარმარილო გათლილი	7,032	„
წისქვილის ქვები	1,078	„
გრაფიტი	2,259	„
გაზის ფითილი	1,886	„
ფეჩების აგური	160,281	„
კრამიტი	106,183	„
ქურქლეულობა	2,944	„
სარკის შუშა	4,550	„

საწვავი მასალა:

კუბრი	6,988	„
კანიფოლი (კასრებისათვის)	3,231	„
საკმეველი	858	„

ქიმიური ნაწარმოები:

გოგირდი	31,166	„
ჯავარიანი ქვა (Т. ШПАТЬ)	9,773	„
გვარჯილა (ჩილისა)	7,768	„
მაგნეზია	1,711	„
სააფთიაქო მასალა	1,965	„
ვენახის საწამლი მანქანები და იარაღები	54,994	„
ზეთის ხილი	2,321	„
საღებავები	26,302	„
საღებავების ფხვნილი	23,796	„

მანქანულობა და მისი ნაწარმოები

რკინა	19,891	„
ფოლადი	22,701	„
რელსები	2,548	„
თითბერი	7,527	„
ტყვია	16,692	„
თუჯი	4,407	„
თუჯის მილები	82,814	„
ემალის ჭურჭელი	6,780	„
რკინის მავთული	3,946	„
ელექტრონის მავთული	2,428	„
ცელი	1,253	„
სადურგლო იარაღი	11,820	„
ყოველნაირი მანქანები	149,673	„
მანქანების ნაწილები	9,842	„
„ „	3,097	„

სართავი მასალა და ნაწარმოები:

ბამბა (ეგვიპტიდან)	2,035	ფ
ბაწრები	4,109	„
ტომრები	5,400	„
მასრები	5,959	„


მკითხველი ადვილად დაინახავს, რომ ყოველნაირი საქონელი შემოდის ჩვენს ქვეყანაში. რასაკვირველია სხვა ბევრი წვრილმანი საქონელიც შემოდის ჩამოთვლილს გარდა და არ ვიხსენიებთ, რადგან დიდი მნიშვნელობა არა აქვთ მათ.

ფოთის ნავთსადგურს შემოტანაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და ამიტომ არც მოვიხსენიებთ.

როგორც წინადაც გვქონდა აღნიშნული შემოტანილი საქონელი მარტო საქართველოში არ რჩება, არამედ საერთოდ ამიერ-კავკასიაში ვრცელდება და ნაწილი თურქესტანშიაც მიდის.

სიმარტივისთვის მოვიყვანთ ციფრებს თუ რამდენი მილიონი მანეთის საქონელი შემოვიდა ბათომზე 1986—1906 წლამდე.

1906 წ.	9,436,075	მან.
1905 „	8,451,568	„
1904 „	13,024,624	„



1903	„	12,024,277	მან.
1902	„	..	9,608,316	„
1901	„	12,446,807	„
1900	„	11,770,693	„
1899	„	10,695,524	„
1898	„	9,281,194	„
1897	„	7,016,394	„
1896	„	11,392,758	„

ამ განსხვავებიდან აღვიღალ შედეგად ლიან დავსკნათ რომ საზღვარ-გარეო უფრო მეტი ვადის ჩვენი ქვეყნიდან, ვიდრე შემოდის, რასაკვირველია თუ არ ვიანგარიშებთ იმას, რაც რუსეთიდან შემოდის ჩვენში ხმელეთით.

ეს პასიური სავაჭრო ბალანსი სრულიად ნორმალურია ჩვენი ქვეყნისათვის, რადგან ჩვენი ქვეყანა უმთავრესად სამეურნეო ქვეყანაა.

დასასრულ მოვიყვანთ გემების მიმოსვლის ცხრილს ჩვენ ნავთსადგურებში, რათა მკითხველს მთლიანი სურათი წარმოუდგეს ჩვენი ქვეყნის უცხოეთთან ვაჭრობისა.

როგორც აქედან დაინახავთ განვითარება სწორის გზით არ მიდიოდა და თითქმის ყოველ ორი წლის შემდეგ იძინებდა და მეცადინობდა.

ამავე წლების შემოტანის ციფრები კი ცხადათ ამტკიცებენ, რომ ექსპორტი ყოველ წლივ მატულობდა.

უცხოეთის გემების მიმოსვლა შავ ზღვაზე 1906 წ. და 1907 წ.

ნავთსად- გურები:	წლე- ბი:	რამდენი გემი შე- მოვიდა:	რამდენი ფუთი საქონელით:	რამდენი გემი გა- ვიდა:	რამდენი ფუთი საქონელით:
ტუაპსე ..	1906	„	„	„	„
	1907	„	„	„	„
გუდაუთი	1906	14	ცარიელი	15	35,000 ფუთი
	1907	30	„	31	82,000 „
სოხუმი ..	1906	135	„	136	259,000 „
	1907	130	„	137	449,000 „
ოჩეჩირე	1906	136	„	136	723,000 „
	1907	84	„	84	509,000 „
ფოთი ...	1906	257	„	260	28 მილიონი „
	1907	143	„	142	28 „ „
ბათომი ..	1906	690	1,703,000 ფუთი	546	33 „ „
	1907	655	2,325,000 „	565	39 „ „

უცხოეთის გემებს გარდა აქ ჩათვლილია ყველა ის რუსეთის გემები, რომელნიც საზღვარ-გარეთის კაბოტაჟში იღებენ მონაწილეობას.

როგორც ხედავთ ამ ნავთსადგურთა შორის მთავარი მნიშვნელობა ფოთსა და ბათომს აქვს, დანარჩენებში გემები ცარიელი შედიან და მხოლოდ იქიდან

გამოაქვთ რამე. ფოთშიაც ცარიელი შედიან გემები და იქიდან უმთავრესად შავი ქვა გამოაქვთ.

როგორც სჩანს შემოსული გემების რიცხვი შემცირებულა 1907 წელში წინა წელთან შედარებით, რაიცა ვაჭრობის შემცირებით აიხსნება.



საყურადღებო ცნობები

კართოფილის შესანიშნავი თვისება. — ერთ ინგლისელ მეურნეს დარჩენოდა ბნელ სარდაფში იატაკზე გაშლილი კართოფილი შემოდგომამდე. როცა გაახსენდა შევიდა თურმე სანახავად და კართოფილი არამც თუ არ დამპალიყო, პირიქით თითოეულ მათგანს გამოეტანა და მეჭეჭებსავით იყარა ზემოდან სრულიად თეთრი, მუხუდოსოდენა, რგვალი კართოფილები. გაკვირვებულ მეურნეს რამდენიმე ცალი კართოფილი დაეტოვებინა ისევ სარდაფში გამოსაკვლევად. რამდენიმე კვირის შემდეგ მეურნე ხელახლად შესულა სარდაფში და უნახავს რომ პატარა მეჭეჭის მზგავსი კართოფილები დაზრდილან კაკლისოდენები. მოუგროვებია, მოუხარშავს რამდენიმე და გემოთი რომ გაუშინჯავს დარწმუნებულა რომ იგინი ბევრით სჯობიან ახალ კართოფილს, რომელიც ჩვეულებრივის წესით მოჰყავთ.

ამის შემდეგ ეს კართოფილი მეურნეს გაუგზავნია ლონდონის გამოფენაზე, სადაც ვისაც უნახავს ყველა გაკვირვებულა და საერთოდ დიდი ყურადღება მიუქცევია მთელი საზოგადოებისა.

შემდეგ კიდევ სხვებსაც უცდიათ და ეხლა ამ ახალი წესით თურმე ძრიელ ბევრს მოჰყავს ახალი კართოფილი.

ამ წესით ახალი კართოფილის მოსაყვანად ყოველი ჯიში კართოფილი ვარგობს, ხოლო რაც უფრო მსხვილია კართოფილი იმდენი სჯობია. დასათესად უნდა აირჩეს უსინჯო, უზიანო კართოფილები, თორემ დაავადებული დაღებება და სხვებსაც დააღობს. უკეთეს-


გამოსავალს იძლევა, როცა კართოფილი წინა წლის მოსავლისა ითესება.

სარდაფი, სადაც კართოფილს ვთესავთ, უნდა იყოს სრულიად ბნელი. ეს პირველი უსაჭიროესი პირობაა ამ ახალი წესით დათესვისა. სინათლე თუ შევიდა გარედან, კართოფილები ღეროებს გამოიტანენ და არა ახალ კართოფილს.

ამ ახალი წესით დათესვა შეუძლიან სოფელში მცხოვრებელსაც და ქალაქშიაც. ბნელი სარდაფიც რომ არ იყოს, უბრალო შკაფიც გამოდგება ამისათვის. უნდა გაეწყოს ფიცრები და გაიფინოს ზედ შავი მსუქანი გაფხვიერებული მიწა ერთი ვერშოკის სისქეზე დაახლოებით. ამ მიწაში ჩაფლავთ კართოფილს 2-3 ვერშოკის მოშორებით ერთი-მეორედან. კართოფილები სველი ტილოთი ან ღრუბლით უნდა გაიწმინდოს-გასუფთავდეს და ისე ჩაიფლას, რომ არაფერი ისეთი არ შეჰყვეს, რასაც დაღობობა-დაჭიანება შეუძლიან მათი.

შემდეგ არაფერი მოვლა არ სჭირდება, ოღონდ დროგამოშვებით უნდა ინახულოთ და თუ მაინცაღამაინც რომელიმე კართოფილი ფუჭდება მოაშორეთ. თუ კართოფილები გაღვივდნენ და ღეროები ამოუშვეს უნდა მაკრატლით ან დანით ეს ღეროები წააჭრათ, ისე კი რომ თვით კართოფილს დანის პირი არ მოხვდეს.

ორი-სამი კვირის შემდეგ კართოფილები შეიმოსებიან ხორხოშელას მზგავსი თეთრი ხუნწლებით, რომელნიც დაიზრდებიან და ახალი კართოფილი გექნებათ. ამ ახალ კართოფილს მოკრეფავთ და ძველი დედა-კართოფილე-



ბი კი ისევ თავის ალაგას დარჩებიან მოსავლის ხელახლად მოსაცემად ვიდრე სრულიად გამოიფიტებიან და ცარიელი კანი-და დარჩება მათი.

სარდაფში, როცა შედინხართ დასავალიერებლად, სანთელი ან ლამფა უნდა გენტოთ და გარეთი სინათლე კი ანამცა და ანამც არ შეუშვათ.

გასაკვირვალია ის ფაქტი, რომ ამ პატარი ახალი კართოფილების საერთო წონა აღემატება დათესილ კართოფილების საერთო წონას.

ამ გზით ახალი კართოფილის მოყვანა სექტემბრიდან დაწყობილი ვიდრე გაზაფხულამდე შეიძლება, სანამ ახალი კართოფილი გარეთ ნიადაგში მოვა.

ახალი წესით მოყვანილ კართოფილს ხორცი აქვს რბილი, გემრიელი და კანი იმდენად თხელი და ნაზი, რომ გაფუჭვება აღარა სჭირდება, საკმარისია გაირეცხოს და ისე იხმაროთ.

ამ მოვლენით რაღაც გასაოცარი განახლება ხდება ძველი მასალისა.

ხილის შენახვა ზამთარში.—ვაშლს, მსხალს ასე ინახავენ ზამთარში: გამართავენ სარდაფში ჩარჩოებს, გააწყობენ ზედ ხის ფიცრებს რამდენიმე რიგად და გაფენენ ამ ფიცრებზე, ნამჯას ერთი ვერშოკის სისქეზე დაახლოებით; ნამჯაზედ დააწყობენ ხილს. სარდაფი უნდა იყოს ბნელი, უნესტო და ერთიანად გრილი, ე. ი. ტემპერატურა მისი არ უნდა ასცილდებოდეს ზევითკვევით 4—6° R.

ხილს მალიმალ უნდა დახედვა. ხშირად უნდა გადაეწმინდოს მტვერი შალით ან მჩვრით, რადგან ამ მტვერს ურევია ის ნივთიერებანი, რომელნიც ალპობენ ხილს. დამპალი-დაზიანებული ხილი მაშინვე უნდა მოშორდეს, რომ იმათიდან ახლა სხვები არ დაღონენ.

მეტად ძვირფასი კალვილები, კრემები, კანდილები და სხვა ნივთები და მსხლებიც უნდა ცალკე ცალკე გაიხვიოს თხელ-სიფრიფანა ქალაღში და ისე დაეწყოს ფიცრებზე ხის ბურბუშელაში შეხვევული. სარდაფში რომ სინათლე არ შევიდეს და არც ყინვამ შეატანოს, შიგნიდამ სარდაფის კედლებზე ლართხა უნდა გაეკრას ან და ჩარჩოებს, სადაც ხილია გაფენილი, გარშემო მატყლის ჩული რამ ჩამოეთაროს. ჩულით ჩამოეთარებული ხილი უფრო კარგად იქნება დაცული ყინვისაგანაც და სინათლისაგანაც.

სადაც დიდი სიცივეები იცის, იქ ხილის სარდაფებს თუ სადმე თარღალალები აქვთ დარჩენილი უნდა ჩალით გამოეტენოთ კარგად და ნეხვით გაიღესოს, შემოსავალ კარებს კიდე ნაბდის ჩული გაეკრას.

თუ ფეჩი აქვს სარდაფს, როცა ძან ცივა ფეჩი შეიძლება გახურდეს, თუ არ არის, მაყალი შეიძლება შეიტანოთ სარდაფში და იმითი მაინც შეათბოთ ჰაერი. პატარა სარდაფის გასათბობათ ისიც იკმარებს რომ მათლაფაში სპირტი ჩაასხათ და აანთოთ.

სარდაფში სხვა არაფერი სანოვაგე არ უნდა ინახებოდეს, რომ ხილს სუნი არ ეცეს.

რომ ხილი არ დაძრეს ძანაც რომ ციოდეს, საკმარისია რბილი ქალაღი გაზეთისა გადაათაროთ ორკეცად, მერე დახუროთ ზემოდან სქელი ქალაღი, შესახვევად რომ ხმარობენ, და შემდეგ მატყლის საბანი გადაათაროთ.

თუ ხილს გზანით სადმე ყუთებით, უნდა ყუთს ძირზე და კედლებზე ჯერ რბილი ქალაღი ჩაეთინოს და მერე ხილი ისე ჩაიწყოს, შემდეგ თავზედ ქალაღი და ჩალა გადეთინოს სქლად და ხუფი ისე დაილურსმოს.

გ. ახოშვილი.

„ხოზიანისტო“.

ლონდონის ბაზარი

სიმინდი

ამ სტრიქონების დანიშნულება ის არ არის, რომ ვინმეს ჩვენი ქვეყნიდან სიმინდის გატანა ვუჩიოთ. პირიქით დღევანდელ ეკონომიურ პირობებში მიუტევებელ ბოროტებად უნდა მიგვაჩნდეს გინდ **ერთი ფუთი სიმინდის გატანა ჩვენი ქვეყნიდან**. სიმინდი ჩვენი ქვეყნის გლეხის უმთავრესი საზრდოა უძველესი დროიდან. დღეს ჩვენი გლეხი ისეა გადატაკებული, რომ სიმინდსაც ვერ შოულობს საკმაოდ. გლეხების უმრავლესობას ერთი მოსავლიდან მეორემდე ვერ მიჰყვება ხოლმე და წლის ბოლოს თითონ ყიდულობს მამასისხლად.

სასაზრდოვო მასალის **საზღვარ გარედ გაზიდვა** მხოლოდ მაშინ ჩაითვლება ნორმალურად, როდესაც თითონ გამზიდავ ქვეყანას ზედმეტი აქვს მორჩენილი, ამიტომ ამჟამად ჩვენი ქვეყნიდან **სიმინდის გაზიდვას** ყოველის ღონისძიებით უნდა ვებრძოლოთ. ყოველ განათლებულ და მოწესრიგებულ ევროპულ სახელმწიფოში არსებობს განსაკუთრებული კანონები, რომელთა ძალითაც სახელმწიფოს შეუძლიან დროებით აკრძალოს ყოველივე სანოვაგის გატანა საზღვარგარედ, როგორც ხორცეულის, ისე ხორბლეულის და ბოსტნეულის. მაგალითად გერმანიამ ამ ორი თვის წინად აკრძალა კართოფლის გაზიდვა საზღვარგარედ, რადგან ხორცის ფასმა ძლიერ აიწია და მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი კართოფლისამარა დარჩა. რუსეთიდან კი წარსულ წელს მარტო შავი ზღვისა და აზოვის ზღვის ნავთსადგურებიდან გაზიდეს 496 მილიონი გირვანქა პურის ხორბალი საზღვარგარედ.

მაგრამ ცხოვრება ჩვენ სურვილებს არ ემორჩილება და მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა გაჰქანდათ და გააქვთ ჩვენი სიმინდი საზღვარ გარედ. გამზინდავი უმეტეს ნაწილად იყენენ და არიან

უცხოეთის დიდი ფირმები, მათ შორის ყველაზე მძლავრი საფრანგეთის ფირმა დრეიფუსი და კომპანიაა. ეს ფირმები აგენტების საშუალებით ყიდულობენ სიმინდს გლეხებიდან და მსხვილი ვაჭრებიდან და შემდეგ გააქვთ ფოთსა და ბათუმზე. ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ **ჩვენი გლეხის უმთავრეს საზრდოს** საზღვარ-გარედ ღორების სასუქად ხმარობენ.

ჩვენ გვსურს ცნობები მივაწვდინოთ ჩვენს მწარმოებლებს, რომელნიც მიუხედავად აღნიშნული მოვლენისა მაინც გაზიდავენ სიმინდს, ბაზრის შესახებ, რომ ამით ავაცდინოთ მოტყუებას.

ვაჭრობაში სიმინდი განირჩევა ფერით, სიმსხოთი და იმ ქვეყნით საიდანაც მიდის.

ჩვეულებრივი სიმინდი. ეგრედ წოდებული უნგრეთის, რუმინის, ბოლგარიის და ჩვენებური მრგვალი, ყვითელი და ცოტა მოწითალო მარცვლებიანია

წვრილმარცვლოვანი სიმინდი (იტალიურად „ჩინკანტინო“ და „პინოლეტო“) მოწითალო ან სულ წითელი ფერისა არის.

ტკბილი სიმინდი. შუშისავით ბჰყვრილა და თეთრ-მარცვლოვანია.

ლაპლატას სიმინდი (სამხრეთ ამერიკა) ხშირად თეთრი ან ყვითელი ფერისა არის.

კარგი ღირსების სიმინდი უნდა სრულიად დამწიფებული იყოს და მძალის სუნი არ ასდიოდეს, ბოლოზე ნაცრის ფერი არ უნდა ქონდეს, რადგან ეს სიღამლის ნიშანია. ძველი, კარგად შენახული სიმინდი უფრო მეტად ფასოჰს, ვიდრე ახალი.

თითქმის მთელ დედამიწაზე მოყვანილ სიმინდის ნახევარზე მეტს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები იძლევიან.

1905 წ. სიმინდის მსოფლიო მოსავალი შეადგენდა 7800 მილიონ ფუთს.



ჩვენებურ სიმინდს ევროპის და კერძოდ ლონდონის ბაზარზე უწოდებენ **შავი ზღვის სიმინდს** („Black Lea Meiz“). ამჟამად ფასი ლონდონში ჩამოტანით 1 ფუთზე ერთი მანეთია, ასეთი ფასი აქაური ბაზრისთვის ძლიერ მაღალია.

მსოფლიო ხორბლეულის მოსავალი

საერთაშორისო სამეურნეო ინსტიტუტის (რომში) უკანასკნელი ანგარიშით წელს სიმინდის მოსავალი ნავარაუდევია:

იტალიაში . . . 130,505,000 ფუთი
 რუსეთში 95,637,000 ”
 ამერიკაში 4103 მილიონი ”
 ვარაუდით არის გამოანგარიშებული მოსავალი ამ წელს:

პური

ინგლისში . . . 102,693,000 ფუთი
 უნგრეთში 309,594,000 ”
 იტალიაში 308,757,000 ”
 კანადაში (ჩრდილოეთ-ამერიკა) 301,782,000 ”
 ამერიკის შტატებში 1058 მილიონი ”
 რუსეთში 1117 მილიონი ”
 საფრანგეთში 514,365,000 ”

ქერი

ინგლისში 55,234,000 ფუთი
 უნგრეთში 97,557,000 ”
 რუმინიაში 32,469,000 ”
 კანადაში (ჩრდილოეთ-ამერიკა) 66,267,000 ”
 იაპონიაში 121,491,000 ”
 ამერიკის შტატებში 183,636,000 ”
 რუსეთში 560,838,000 ”

შვრია

ინგლისში 160,629,000 ფუთი
 უნგრეთში 82,503,000 ”
 რუმინიაში 335,187,000 ”
 ამერიკის შტატებში 721,901,000 ”
 საფრანგეთში 988,718,000 ”

მოგვყავს ეს ცხრილი, რომ ჩვენმა მკითხველმა გაითვალისწინოს თუ რო-

გორ დიდებულად ვითარდება მსოფლიო მეურნეობა.

ნაძვის ხის თესლი

ჩვენებური ნაძვი განსაკუთრებული თვისებისაა და ამიტომ შეიძლება ადვილად გასაღდეს. გერმანიაში გაღის ჩვენებური ჯიშის ნაძვის თესლი *Abies Nordmanniana*. ერთ ფუთში არა ნაკლებ 12 მანეთს მოგვეცემენ ჰამბურგში ჩატანით. მსურველთ ვსთხოვ გამოგზავნონ „მოსავალი“-ს რედაქციაში 2 გირვანქა თესლი სანიმუშოდ.

ფუტკრის სანთელი

შემოდის განსაკუთრებით ამერიკიდან, აფრიკიდან და ინდოეთიდან. გარდა ამისა ბევრი შემოაქვთ **პოდოლიდან** (სამხრეთ რუსეთიდან) და **პოლონეთიდან**. ამ ორი უკანასკნელი ქვეყნიდან პირდაპირ თაფლით სავსე ფიჭებს გზავნიან კასრებში (ბოჭკებში) თითო 22 ფუთი. ჩვენი სანთელი ოსმალეთისას შეიძლება შევადაროთ, რომელიც აქ ძლიერ ბევრი შემოდის.

ამჟამად მოთხოვნილება დიდია. ფასი ლონდონში ჩამოტანით 1 გირვანქა=50 კაპ., მაგრამ ეს ფასი მუდმივი არ არის, შეიძლება აიწიოს და შეიძლება კიდევაც დაიწიოს. ჩვენი სანთლის გასაღება თამამად შეიძლება აქაურ ბაზარზე, ამიტომ ვურჩევ მსურველთ გამოგზავნონ „მოსავალი“-ს რედაქციაში **ახალი** და **ძველი** სანთლის ნიმუშები **სულ 3 გირვანქა** და მოიწერონ რამდენი ფუთი აქვთ.

რადგან სანთელში ხშირად სხვა ნივთიერებას ურევენ, ამიტომ ვაპრთხილებ ყველას სიყალბისგან და ვურჩევ წმინდა სანთელი გამოგზავნონ, რადგან აქ ანალიზს გაუკეთებენ და სიყალბე ადვილად გამოჩნდება.

„მოსავალი“-ს წარმომადგენელი
 ლონდონი,

4/17 დენიზბისთვე 1911 წ.

რედაქ.-გამომცემელი **ვ. ი. რცხილაძე**